

ქართვანთა მიწების  
ნათარსებისათვის ჩიხი



ყოველთვის სუნთქვაშეკრული ველოდი კვეკვესკირების სახლში სტუმრობის დღეს. მსგავსი დღეები იშვიათად დგებოდა. უფრო სწორედ, ჩემთვის იშვიათად.

დარჩენილ დროს კი ლოდინში ვატარებდი. ვაკვირდებოდი ხოლმე საათებს, ჩემ წინ რიგ-რიგობით რომ მიიზღაზნებოდნენ. ერთ თითქოს ჩვეულებრივ დღეს, დედა სამზარეულოდან გამომძახებდა, რომ სასწრაფოდ თმა დამეწარცხნა და ჩამეცვა. ყველაფერი გასაგები იყო. კვეკვესკირების ოჯახთან სტუმრად უნდა წავსულიყავით.

მეც ვემზადებოდი. სავარცხლით ვისწორებდი ერთმანეთში ჩახვეულ კულულებს. კარადიდან ვიღებდი საყვარელ შარვალს და ფერად მაისურს.

კარგად მახსოვს, მთელი ოჯახი ვემზადებოდი. მე, დედა, მამა და ჩემი ძმა. მამა ავტოფარეხიდან გამოიყვანდა საყვარელ 03-ს, რომელსაც მოფერებით 'ფაქიზოს' ეძახდა. აუჩქარებლად დაქოქავდა და ეზოდან დაგვისიგნალებდა.

მე და ჩემს ძმას მანქანაში უკან გვიყვარდა ჯდომა. უსწრაფესად ჩამოვირბენდით სადარბაზოს კიბეებს და მანქანაში ჩავსტებოდით. მარჯვენა ფანჯარასთან ახლოს მე ვჯდებოდი. მარცხენა მხარე კი ჩემს ძმას რჩებოდა.

დედა მამას გვერდით ჯდებოდა. მივდიოდით ნელა. მეც და ჩემს ძმასაც განსაკუთრებულად გვიყვარდა მანქანის ფანჯრიდან შიგადაშიგ თავის გაყოფა. ვიხედებოდით გარეთ და მანქანის შუშებიდან ქალაქის უბნების ცვლას ვაკვირდებოდით. იცვლებოდა მაღაზიები, ტროტუარები. უბნის პატარა ყვავილების მაღაზიას სხვადასხვა ზომისა და ფორმის ნამცხვრების საკონდიტროები ანაცვლებდნენ.

გუახლოვდებოდით კვეკვესკირების უბანს.

ზეპირად მახსოვდა ის შესახვევი, რომელსაც მათი სახლისკენ მივყავდით. არ მავინყდებოდა სახლის წინ შავ და ოქროსფერ ფერებში განწყობილი სილამაზის სალონი "Le Beauty" და 5 წუთიან შესვენებაზე გამოსული, სალონის კიბეებთან სიგარეტით ხელში მდგომი სტილისტი ქალი, გრძელი ფრჩხილებითა და მაღალქუსლიანი ფეხსაცმლით.

კვეკვესკირების ლიფტი ჯადოსნურ ყუთს გავდა. ძალიან პატარა იყო, მაგრამ მაინც, ოთხივე ადამიანი თავისუფლად ვეტიოდით. ყოველ მისვლაზე მიკვირდა, რატომ დაემაგრებინა ვილაცას წმინდა მატრონას გამოსახულებიანი თხელი მუყაოს ხატი ლიფტის ერთერთ კუთხეში. ხატის დანახვისთანავე დედა პირჯვარს გადაინერდა და, ალბათ, ოთხასმეორედ მეტყოდა, რომ ეს ნეტარი მატრონა იყო, რომელიც სასწაულებს ახდენდა. უნდა დამემახსოვრებინა. მახსოვდა კიდეც. სხვა რა გზა იყო.

ლიფტის დაძვრის დრო დგებოდა. მამა მერვე ლილაკს დააჭერდა და ჩვენც “სინათლის” სიჩქარით დანიშნულების ადგილას აღმოვჩნდებოდით.

## II

კარს ყოველთვის დეიდა ლანა გვიღებდა. ჯერ ჩემს ძმას კოცნიდა, შემდეგ კი - მე. გულთან ისე ახლოს მიმიხუტებდა, მეგონა, რომ რამდენიმე წამში სუნთქვა შემეკვრებოდა. მაგრამ ვერაფერს ვამბობდი. უხერხული იქნებოდა. სახლში ფეხის შედგმისთანავე ვგრძნობდი ახალგამომცხვარი ვაშლის ნამცხვრის სურნელს. დანამდვილებით ვიცოდი, რომ უგემრიელესი იქნებოდა. დეიდა ლანა ხომ ამ დესერტს მთელი საღამო საკუთარი ხელებით ამზადებდა. მართალია, ოჯახში დამხმარე ქალებიც ჰყავდა (მსხვილძვლიანი დოდოშკა და მუდამ თავსაფარწაკრული ბელა), მაგრამ ვაშლის ნამცხვარს ყოველთვის საკუთარი ძალებით ამზადებდა.

ქურთუკებს ოჯახის დამლაგებელი, ორმოცდაათ წელს გადაცილებული უჟმური ქალბატონი გვართმევდა. შეიძლება ითქვას, ამდენი წლის სტუმრობის განმავლობაში, მხოლოდ მოსალმება გამიგია მისგან. ეს მისალმებაც იმდენად მკაცრი და უსიცოცხლო იყო, საპასუხო გამარჯობის თქმისაც კი მეშინოდა.

“ამას შეხედე, კიდეც ახალი თეფშები დაუმატებია” - მესმოდა დედაჩემის გადაჩურჩულების ხმა. მამა კი დამნაშავეს სახით ჭამას ცდილობდა. ახლაც მახსოვს, როგორი უშველებელი მაგიდა იდგა სტუმრების მისაღებ ოთახში. ქათქათა თეთრ გადასაფარებელს ბოლო არ უჩანდა, მაგრამ ჩემი ძმა მაინც პოულობდა. შუა ჭამის დროს მაგიდის ქვეშ ძვრებოდა და დეიდა ლანას ფეხსაცმელს იკვლევდა. ამას ისე ჩუმად აკეთებდა, რომ მის

დროებით აორთქლებას ვერავინ ამჩნდევდა.

- ნია, ნია, ჩამოდი ქვევით, განახო დეიდა ლანას ახალი ფეხსაცმელები - მეძახდა ჩემი ძმა შორიდან.

- მერე რომ შემამჩნიონ? - მეშინოდა.

- რას ამბობ, ვერ ხედავ რამდენს ლაპარაკობენ? რაც მოვედით, დედა არ გაჩუმებულა - ცდილობდა ჩემს დაყოლიებას.

- კარგი, ხო! - ვამბობდი და წამებში მაგიდის ქვეშ აღმოვჩნდებოდი. თითქოს ტყეში ვიყავით, თბილ კარავში შეყუჟულები და ზამთარს ვემალებოდით. თითქოს მარტო ჩვენ ვიყავით, მე და ჩემი პატარა ძმა, რომელიც გაბრწყინებული სახით უყურებდა დეიდა ლანას ნაბლისფერლაკიან ფეხსაცმელებს.

- შეხედე- ჩურჩულებდა ჩემი ძმა - როგორი პრიალაა. თუ ძალიან მოინდომებ, შენ თავსაც კი დაინახავ. დააკვირდი, ნია!

ვაკვირდებოდი. ჩემ სახეს ვერ, მაგრამ ჩემი ძმის დიდ თავს კი მკაფიოდ ვხედავდი.

ვაკვირდებოდი დეიდა ლანას პრიალა ფეხსაცმელს, დაჭიმულ წვივებს, მუხლებზე გადაფარებული კაბის სრულყოფილად გავლებულ ნაკერებს და წარმოვიდგენდი, რომ ერთ დღეს, მეც მის მსგავსად, სტუმრებისთვის სხვადასხვა კერძს მოვამზადებდი და მოუთმენლად დაველოდებოდი მათ გამოჩენას.

და სტუმრები მოვიდოდნენ, ჩემს იდეალურ სახლში, ჩემს სრულყოფილად ბედნიერ ოჯახში და ძილის წინ, ბალიშზე თავის დადებისას, ჩემ ადგილას ყოფნაზე იოცნებებდნენ.

მეც მეყოლებოდა ბიძია ტიტე, რომელიც მომივლიდა, ჩემს სიმწრის ოფლით მომზადებულ კერძს ყოველ ჯერზე შემიქებდა და კაბის არჩევანს მომიწონებდა. იქვე, გვერდით ოთახში კი ჩვენი შვილების თამაშის ხმები შეავსებდა ჩვენს მარტოობას.

### III

იყო დღეები, როცა “კარვიდან” ჩუმად გაქცევას და სხვა ოთახებში შეპარვას ვხედავდით. ჩემი ძმა ასეთ დღეებს “მოგზაურობას” ეძახდა. ყველაზე ხშირად ვიპარებოდით ბიძია ტიტეს კაბინეტში, ქაოტურად მიმოფანტულ

საბუთებში გზას ვიკვალავდით და ყოველ ნაბიჯზე უცნაურ ნივთებს ვპოულობდით.

რამდენჯერმე საგულდაგულოდ დამალული სიგარეტის ღერი ვიპოვნეთ ბიძია ტიტეს გრძელი კარადის თავზე. ჯერ მე ვიდექი, მხრებზე კი ჩემი ძმა მანვებოდა და ისე ცდილობდა კარადის თავის შეთვალეიერებას. სკამს ფეხებით ვანვებოდი და ღმერთს ვთხოვდი, წონასწორობის შენარჩუნების ძალა მოეცა.

ყოველ ჯერზე ჩემი ძმა ამბობდა “ერთი გავაბოლოთ, არაფერი მოხდებაო”. რამდენიმე წუთის შემდეგ კი ფანჯრის რაფაზე ვისხედით და ასანთის ღერის ანთებას ვცდილობდით. ხან ვანთებდით, ხანაც თავს ვიტყუებდით, რომ უფროსების მსგავსად, ჩვენც, სიგარეტს ვენეოდით. ვითვლიდით წარმოსახვითი ბოლის რგოლებს და შეძლებისდაგვარად ჩუმიად ვიცივნოდით.

ალბათ, უფროსებს ჩვენი სიცილი, ოთახში აქეთ-იქით სირბილი გარკვევით ესმოდათ. მაგრამ არავინ მოდიოდა. ასეთ მომენტებში საოცარ თავისუფლებას ვგრძნობდით. ვმოგზაურობდით კაბინეტის მომცრო კედლების გარშემო და ყველაზე თავისუფლები ვიყავით.

#### IV

“გადაინიე თმა. გამოაჩინე ლამაზი შუბლიო”- მეტყოდა ხოლმე დეიდა ლანა და ახალი თმის სამაგრის მოსასინჯად თავის ოთახში შემეყვანდა. სარკიან მაგიდაზე ყოველთვის ბევრი ფერადი თმისამაგრი ელაგა. ხარბად ვიღებდი იმდენს, რამდენიც ორივე მუჭაში ჩამეტეოდა. დეიდა ლანას ელიმებოდა. “მოდო, ჩემს მუჭსაც გათხოვებო” - მეხუმრებოდა და რამდენიმე თმისამაგრს ერთად მანვდიდა. ვწითლდებოდი. ჩემი სიღარიბის მერიდებოდა.

- აი, რომ გაიზრდები, შენც იპოვი ისეთ ბიჭს, რომელიც მოგივლის და უთვალავ სამკაულებს გაჩუქებს - მეტყოდა ხოლმე ასეთ მომენტებში.

ერთხელაც, თავი ვერ შევიკავე და პირდაპირ ვკითხე:

- და ჩემი მომავალი ქმარი ბევრ ფერად-ფერად სამკაულს მაჩუქებს?
- რა თქმა უნდა, ნია.

- მგონი, ჯობია, მე თვითონ შემეძლოს ჩემი თავისთვის ლამაზი ნივთების ყიდვა - ხმამაღლა გავიფიქრე.

- ძალიან ჭკვიანი გოგონა ხარ. არ დაგავიწყდეს არასდროს, კარგი? - გამიღიმა დეიდა ლანამ.

მახსოვს, დავიბენი. ვერაფერი გავიგე, მაგრამ მაინც პირობა მივეცი.

- ეს იცი რა არის? - მკითხა მან და ამაყად მომზირალი სათამაშო ჩიტისკენ გაიშვირა ხელი.

სათამაშო ჩიტი პირდაპირ მე მიყურებდა. კარგად შევათვალიერე. ნაც-რისფერი თავი, სტაფილოსფერი ნისკარტი და ჭრელი ფრთები ჰქონდა.

- პრინციპში, საიდან უნდა იცოდე- განაგრძო მან საქმიანად - ეს არის კაბო-ვერდედან ჩამოტანილი საჩუქარი, რომელიც ბიძია ტიტეს ერთერთმა გავლენიანმა კოლეგამ უსახსოვრა.

- ძალიან მომწონს, შეიძლება ვეთამაშო? და კაბო-ვერდე რა არის?

- კაბო-ვერდე იგივე მწვანე კონცხის კუნძულები, ჯადოსნური ადგილია. წარმოიდგინე, ადგილი, სადაც ასეთი ლამაზი ჩიტები ცხოვრობენ, დაფრინავენ და გზად საინტერესო თავგადასავლები ხვდებათ.

მახსოვს, თვალები დავხუჭე და კაბო-ვერდე წარმოვიდგინე, ზურმუხტისფერი პალმის ფოთლებითა და მზიანი დღეებით, სადაც ყველა ბედნიერი იყო. დედა და მამა არ კინკლაობდნენ, მე და ჩემი ძმა კი ლამაზი ჩიტების მოშინაურებით ვიყავით დაკავებულები.

აღბათ, რამდენიმე წუთი ვიდექი ასე, თვალეზღაპრული, მხრებდაჭიმული და გაშეშებული. თვალი რომ გავახილე, დეიდა ლანა ოთახში აღარ იყო. გვერდით ოთახიდან გამომძახა, ყველა შენ გელოდებით, თმა გადაიწიე და მოდი ჩვენთან-ო.

დაუფიქრებლად დავიწყე სარკის წინ თმის აწევა. საოცრად ვჩქარობდი. თითქმის შევიკარი თმა, რომ სარკეში დავინახე ლოგინის ტუმბოზე დადგმული ის სათამაშო ჩიტი.

კაბო-ვერდეში უნდა წავსულიყავი. მხოლოდ იქ თუ ვიქნებოდი ბედნიერი. ვგრძნობდი, რომ რაღაც უნდა მომემოქმედა. სამყაროში რაღაც უნდა შემეცვალა. თითქოს ახალი ცხოვრება მელოდა, უფრო ფერადი და ზღაპრული.

ჩუმად გამოვიძურწე ოთახიდან, თმის სამაგრების ნაცვლად კი სათამაშო ჩიტი წამოვიყოლე.

## V

არაფერი შეცვლილა. ისევ იმავე ოთახში გავიღვიძე, სადაც ყოველთვის მეძინა. ისევ გამუდმებით ველოდი კვეკვესკირების სახლში სტუმრობას. მსოფლიო რუკაზე მწვანე კონცხის კუნძულების მოძებნა კი მოვახერხე, მაგრამ ისეთი შორი იყო, რომ მასზე ოცნება შევწყვიტე.

თუმცა, ერთი რამ კი ნამდვილად იყო შეცვლილი. კვეკვესკირები სტუმრად აღარ გვეპატიჟებოდნენ. დედას ვერაფრით გაეგო მიზეზი. საოცრად ღელავდა. თითქმის ყოველ დილას მესმოდა, თუ როგორ კიცხავდა მამას, კვეკვესკირებთან სტუმრობისას წვნიანის ზედმეტად ხმაურიანად მოხრუპვისთვის.

მე კი ვიცოდი მიზეზი, მაგრამ ვერ ვამბობდი. ის წყეული სათამაშო ჩიტი მოსვენებას არ მაძლევდა. სათამაშოებში ჩამალული მქონდა, მაგრამ მაინც ვერ ვისვენებდი. ყველაფერი გასაგები იყო. დეიდა ლანამ მიხვდა, რომ მისი საყვარელი ნივთი მე მოვიპარე და გადანყვიტა სიჩუმით დავესაჯე.

ყველაზე მძიმე სასჯელი აღმოჩნდა. რამდენიმე წელი უშედეგოდ ვცდილობდი ამ ქურდობის დავინყებას. იმის მერეც კი, როცა გავიზარდე. წარმოვიდგენდი დეიდა ლანას, რომელიც ცივი ხმით მეუბნებოდა, რომ იმედგაცრუებული იყო, რადგან მე ჭკვიანი გოგო სულაც არ ვყოფილვარ.

ამ ამბავს ვერავის ვუყვებოდი. ვერც იმ ნაცრისფერთავა ჩიტს ვაგდებდი ურნაში.

გულის სიღრმეში მჯეროდა, რომ ერთ დღესაც, დეიდა ლანა სახლის ტელეფონზე დარეკავდა და სტუმრად დაგვპატიჟებდა. ჩვენც, მთელი ოჯახი, საუკეთესო სამოსში გამოვეწყობოდით და კვეკვესკირებს გახარებულები მოვინახულებდით.

ერთ დღესაც, ბევრი წლის შემდეგ, მართლაც დარეკეს ჩვენი სახლის ტელეფონზე. ყურმილთან მამა მივიდა. ბიძია ტიტე იყო. ხმა უკანკალებდა. დეიდა ლანას პანაშვიდებზე გვიბარებდა.